№ 9 1865 წ. მაისის 1. № 9

დაბარება შეიძლება ტფილისითგან: ი. კერესელიძის სტამბაში. კუკიას, საკუთარს სახლში.

# გუთნის-დედა

## მამულის პატრონობის და ვაჭრობის გაზეთი.

წელიწადი მეორე.

გამოიცემა ორ კჳრაში ერთხელ. ფასი ცისკარზედ ჴელის მომწერთათჳს ერთი მანეთი, ხოლო სხუათათჳს ორი მანეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედება ტყის ჰავაზედ და მიწის ნაყოფიერებაზედ.

წინა სტატიებში ჩვენის ჰაზრით საკმაოთ იყო აღხსნილი საფუძველი ტყის მოქმედებისა სითბოზედ და სინესტეზედ, რომელნიც არიან მიუცილებელნი პირობანი მიწის ნაყოფიერებისა. ორი მდგომარეობა ყველაზე მეტათ შესანიშნავია ჩვენთვისა: პირველი, რომ დიდრონი ტყეების გარშემო სითბო ზომიერათ იყოფება ზამთრისა და ზაფხულის შუა; არც ზამთარია მეტათ ცივი, არც ზაფხული, მეტათ ცხელი; მეორე ტყიან ადგილას წვიმა ხშირია და მდინარები და წყაროები უხვი წყალითა. პირველი წინადადების მაგალითს თვალით ვხედავთ. თვით თბილისშივე მცხოვრებნი, არა გვგონია ვისთვისმე იყოს უცნაური და ვისმე არ ჰქონდეს, რომ უწინდელ დროში ისეთი ყინვები არა ყოფილა თბილისში, როგორც იცის ხოლმე ახლა და რომ არც ამ გვარი ხშირი ქარი ყოფილა ადრე. მტკვრის ნაპირს სოფლებშიაც, თბილისის ქვეით მაგვიტყვია ეს ამბავი სოფლელებისაგან. ლიტონს ხალხს ისეთი მიზეზი მოუგონია ამ საქმისა რომელიც თავისთვის ადვილი მესატყუობარია: ამბობენ ჩრდილოეთის ხალხი ესე იგი რუსი რაკი მოვიდა და დამკვიდრა საქართველოში, სიცივეც თან მოიტანაო. რასაკვირველია, ეს იმისთანა უცნაური ჰაზრია, რომ გამტყუვნების შრომათ არცკი ღირს. ჭეშმარიტი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ უკანასკნელ დროებში ტყეები მალიან გაიკაფა თბილისის გარეშემო როგორც სხვა ადგილებში, რომლისაგამო ჩრდილოეთის ქარ-

საც მიეცა თავის უფალი გზა და დაირღვა ის ზომიერება სითბოს და სიცივეს განყოფისა, რომლის შენახვაც სწარმოებს ტყის თვისებისაგან.

წინადადება ესე მტკიცდება ძველადგან ისტორიითაცა, ძველმა ხალხმა არ იცოდა ტერმომეტრის ხმარობა და არ ჰქონდა სხვა რომელიმე იარაღი სითბოს გასაზომათ, მაგრამ წერილებისაგან ცხადად შევიტყოფთ ჰავის ცვლილებასა, თუ შევაფარდებთ ახლანდელ ჰავას მაშინდელთან. აი როგორ იქნება ეს შეფარდება. თვითეულის მცენარისათვის საჭიროა ერთი და იგივე ზომა სითბოსი, რომ ამოვიდეს მიწიიგან, აყვავდეს ანუ მოიწიოს. მაშასადამე თვით მცენარე არის ცოცხალი ტერმომეტრი და თუ ძველ წერილებში ვიპოვნით რა დროს რა მცენარე ამოსულა, აყვავილებულა თუ მოწეულა, მაშინ შევიტყობთ ცვლილებასაცა ახლანდელ დროების შეფარდებით.

ძველი რომაელი მწერალი ვარრონი მოგვითხრობს, რომ უმრავლესი წილი მიწის მოქმედთა დაიწყებს მკასა თიბათვის გასვლისაო; იქაურივე მწერალი კოლუმელი ამბობს, რომ მკას შეუდგებიან რასწამსაც თავთავი გაყვითლდებაო და არ იცდიან რომ ხორბალი სრულად მომწიფდესო, რადგანაც მეტის მეტი სიცხეები თიბათვისა დასწვავს და დაშრეტს მარცვალსაო. ადრე მომკილი მარცვალი უფრო ბარაქიანია, მინამ ყანაშივე გამხმარიო. ახლანდელ დროში რომის გარეშემო მკას იწყობენ თიბათვს ოც და ოთხიდანა, საიდამაც ცხადათა ჰსჩანს, რომ ახლანდელი ზაფხული უფრო ცხელია ადრინდელზედ, რადგანაც ადრე აწევს მოსავალსა.

რომ შეუდგეთ ისტორიის გამოძიებასა ამ გვარ განრჩევასვე ვიპოვნით სხვა მცენარების შესახებათაც და დავერწმუნებით ჰავის გამოცვლასა. გავშინჯოთ ვაზის შესახები მოთხრობაები.

კოლუმელი ამბობს: ვაზს მეტი კოკრები მააცალეთ აპრილის ნახევრითგან ვიდრე მაისის გასვლამდეო, ამისათვის, რომ ამ დროს კოკრები ისისარი იძლებიანო. და თითით მალე მოიმსხვრევიანო. ახლა ამ გვარი შემუშავების დრო აპრილის ცხრაში იწყობა. ვაზის აყვავებაც ახლა ადრე იწყობა რომის გარეშემო ვინამ ადრე, კოლუმელი ამბობს: ძველი ვენახი უნდა მეორეთ გადაიბარონო მაისის გასვლამდე, ე ი. მინამ ვაზი დაიწყებს ყვავილის გაშლასაო, ახლა ვაზი ყვავის მაისის ოცში, სთველის დროც უწინ გვიან მოდიოდა. აქედამ ცხადათა სჩანს, რომ ძველ დროში, როცა ტყეებით იყო შემოსილი დიდრონი ადგილები, ზაფხული ისე ცხელი არ იყო რომში, როგორც ახლა. მაგრამ ზამთარიც მაშინ არ იყო ისე ცივი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვირგილოსი თავის თხზულებაში აქებს იტალიის ჰავას ამ სიტყვებითა: «საუკუნო გაზაფხული მეფობს იქაო; ზაფხულს ჰპოვებენ იმ თვეებში, რომელიც მას არ ეკუთნისო.» რა საკვირველია, არავინ იტყვის რომ პოეტის სიტყვებს და მეტადრე ქებას სასტიკი ჭეშმარიტება ჰქონდეს, მაგრამ პლინიოს ცხადათ გვიმტკიცებს იმავე ჰაზრსა. ის ამბობს, რომ ყველა ხესილში ნუშზე ადრე არც ერთი არ გამოიჩენს ყვავილსაო და ნუში ყვავის იანვარშიო. ნუშის აყვავებისათვის საჭირო რომ ერთ რვაოდ--დღის განმავლობაში ექვსი გრადუსი სითბო იყოს; ახლანდელ დროშითებერვალზედ ადრე ძნელად გათბება ამ გვარად დღეები და ძნელად ააყვავებს ნუშსა. სხვა მრავალი მოწმობაებიც არი, რომ ადრე ზამთარი იტალიაში უფრო ზომიერი ყოფილა, ვინამ ახლა. იული ცეზარის მოთხრობა თავის ლაშქრობაზედ, საიდანაცა ვხედავთ, რომ ეს გამოჩენილი სარდალი და მწერალი ისე ადვილად ლაშქრობდა ზამთარში როგორც ზაფხულში, სრულად გვიმტკიცებს ადრინდელი ზამთრის ზომიერებასა. ახლანდელ ყინვებში და თოვლებში, თუ მაშინაც ასე ყოფილიყო, შეუძლებელი იქნებოდა ჯარის გატარება იმ ადგილებში, როგორც მოგვითხრობს ცეზარი, ანნიბალის გადასვლაც ალპიის მთებზედ ისე საკვირველი არ არი როგორცა ჩანს ახლა.

რაც გვითქვამს აქამდინ გვგონია საკმარისი დამტკიცება იყოს, რომ ძველ დროებში, როცა დიდრონი ტყეები იყო, ზამთარსა და ზაფხულს ისეთი ზომიერება ჰქონია, რომელიც აღარა აქვს ტყეების გაკაფის შემდეგ. ეს ზომიერება დიდი შესანიშნავი და საფუძვლიანი საქმეა მხვნელ--მთესველთსათვის, ამისათვის, რომ მაზედ არის დამოკიდებული ცხოვრება მრავალის მცენარისა. მეტის მეტი ზამთრის სიცივე ახდენს მცენარესა ეგრეთვე, როგორც აუარებელი სიცხე ზაფხულისა, რომაელების დროს ახლანდელი ფრანციის ქალაქის ვალანსის გარეშემო უხვად მოდიოდა ზეთის ხილი; რაკი ტყეები გაკაფეს, ზეთის ხილიც გაქრა, ასე რომ ავინიონის ზემოთ, რომელიც არის ას ვერზე ვალანსიდამ, ვეღარა ნახავს მგზავრი ამ ძვირფასს ხესა. ამის გაქრობის მიზეზად გახდა ზამთრის სასტიკი სიცივე, რომელიც დასდევს ტყეების გაწყვეტასა, ესევე საქმე შეუნიშნავთ ლეღვზედ, ყურძენზედა და თუთის ხეზედაც, რომელნიც ვერ აიტანენ ხუსხიან ზამთარსა. დიდი ყინვები უშლის ანეულის თესვასაცა, რადგანც ზამთრით მიწას ჰყინავს და მასთან ჯეჯილსაცა. რაც დასათესს მცენარეს მოსდის ყინვებისაგან, ისევ ვნება უნდა ჰქონდეს მინდვრის და ტყის მცენარეებსაცა. შეუძლებელია,

რომ ჭავის გამოცვლის მიზეზით არ წახდეს და არ გადაიკარგოს ბევრი იმისთანა ბალახი და ხე, რომელიც არის ყუათიანი საკვები შინაურის პირუტყვისა და სასარგებლო სხვა და სხვა მოხმარებისათვის ესეც რო არიყოს, ვის შეუძლიან უარი--ჰყოს, რომ ზამთრის და ზაფხულის ზომიერებას არა ჰქონდეს უთვალავი სარგებლობა სიმრთელისათვის, ხვნა--თესვისათვის, პირუტყვის შენახვისათვის, ვაჭრობისა და სხვა უთვალავი საქმეებისათვთჳს, და თუ ეს ზომიერება ტყეზედ არის დამოკიდებული, ვინ იქნება ისეთი, რომ არ შეიტყოს საფუძველი იმ მზრუნველებისა, რომელსაც მართებლობა ჰსდებს ტყეების შენახვაზედ.

სხვა გვარი მოქმედება ტყისა, რომელიც შეეხება წვიმების სიხშირესა და წყლების სიუხვესა, ისევ შესანიშნავია და მღიერი, როგორც დაზომიერება სითბო--სიცივისა, მაგრამ ყველას ესმის მნიშვნელობა და საჭიროება წყლისა მამულის კეთებაში ასე, რომ ჩვენის აზრით ამ საქმეს არ უჭირს მომატებული ლაპარაკი და გამომიება, ჩვენში არავინ იტყვის, რომ სარწყავი წყალი მომატებით იყოს სადმე. ნაკლებულება ბევრის ადგილისა ცხადია ყველასთვის, მეტი სიუხვე არსად არი: მაშა სადამე, წყარო, რომლიდგანაც მომდინარებენ ახლანდელი სარწყავი წყლები თხოულობს სასტიკს შენახვასა, და ეს წყარო ტყეებია.

ამ სარგებლობის გარდა, სხვა მრავალი კიდევა აქვს ტყესა. ტყე მიიზიდავს მეხსა და აშორებს სოფლებსა, არამც თუ მარტო ამ საშინელს ვნებასა, არამედ არღვევს და აქარწყლებს იმ მიზეზებსა, რომელსაც მოჰყავს სეტყვა--მეორე სასტიკი სასჯელი მიწის მოქმედისა.

ბევრ ადგილას ტყე იმისთანა მიწაზედ ამოდის, რომ სხვა არაფერი სასარგებლო ბალახი არ ამოვიდოდა, მთებზე და კლდიან ადგილას, რას დასთესს კაცი, რომ გამორჩომა ჰქონდეს ისე უზრუნველი, როგორც ტყისაგან. პური, ქერი, ფეტვი, ბოსტანი და ვენახი ტყეზედ გამოსარჩომია, მაგრამ სადაც ფხენი ვერ იგვარებენ ისევ ტყის გაშვება სასარგებლოა, ტყის ხეები თავიანთი მირკვებითა იმაგრებენ ციცაბ კლდეებსა და აბრკოლებენ ჩამონგრევასა.ისინივე იჭერენ თოვლსა,რომლის გროვებიც ტიტველა კლდიდამ ადვილად ცურდება, დაეცემა მირს და წაახდენს სოფლებსა და გზებსა. კლდეებზედ სრულად ტყის გაკაფვა მით სასტიკად უნდა იყოს აკრძალული, რომ რაკი ერთხელ გაშიშვლდება ტყე იმისი ხელ ახლად შემოსვა არა ვითარის ღონის მიებით აღარ შეიმლება, და შიშველა მთები უნაყოფოების გარდა ამით არიან დიდი მავნებელი, რომ დიდრონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვარების მიზეზად ხდებიან.

ქვეყნის ტყეების გაკაფვასა, ტყეების ამოწყვეტას მოსდევს უთვალავი ვნება საზოგადოებისათვის, შეშისა და ხეტყის სიმცირესაც რომ თავი დავანებოთ. დაუდევნელ ეკონომიასა, ჯარიანობასა, ხალხის გამრავლებასა, ქარხნების გავრცელებასა გაუწყვეტიათ იმგვარად ტყეები, რომ ახლა ყველგან ხედავენ ცარიელ ზიანსა და ყოვლის ცდით მეცადინეობენ, რომ უმეტეს უბედურებაში აღარ ჩავარდეს ხალხი უტყეობისაგან. ფრანცია დიდრონ სუმმებსა ხარჯავს ყოველ წელიწადსა რომ თავის მთებზედ გააჩინოს კიდევ ტყეები რომლებითაც [illegible] ადრე შემოსილნი [illegible] იმ ნიაღვრებსა, რომელნიც ხშირათ ახდენენ დაბალ ადგილში მცხოვრები ხალხის ნახნავსა, სახლებსა და ყოველსა ნამუშევარსა და სიგლახაკეში აგდებენ მილიონ კომლობასა, სახელოვანმა ეგვიპტის ვიცე-კოროლმა ალიფაშამ რამდენიმე მილლიონი ხე დაარგმევინა, რომ გაახშიროს წვიმები და დაუბრუნოს ეგვიპტის მიწას ადრინდელი ნაყოფიერება.

ტყის დაცვის ზრუნვა იქნება ორ გვარი: სადაც ტყე--მეტის მეტად ნაკლებათ არი, იქ მთავრობა სთესს და რგავს ხეებსა და აკეთებს კელოვნებით ტყესა; სადაც ტყეს უჭირავს საკმაო ადგილი, მაგრამ უწესო და უზომო ხმარებითა არის წამხდარი და თან და თან ვიწროვდება, იქ მთავრობა აყენებს მცველებსა და იმათი საშუალობით აძლევს წესსა და ზომიერებასა ტყის ხმარებასა. წესიერი და ზომიერი ტყის მოხმარება ის არი, როდესაც ტყეს არა აქვს შიში გაწყვეტისა და გამოლევისა, თუმცა ხმარობენ ყოველთვის. აი როგორ შეიძლება ტყის ხმარება ისე, რომ თავის დღეში არ გამოილიოს. თვითეულმა იცის, რომ ხე იზრდება ყოველ წელიწადს სიბერის ჰასაკამდე, მერე იგი [illegible] და ხმელდება ძირითი და მწვერებითა. ხე რომ გადავხერხოთ შუაში, მაშინ დავინახავთ, რომ ზოლი [illegible] [illegible] მრავალი ხაზებისაგან [illegible] დაწყობილი ქერქამდინ ასე რომ შეგვიძლიან დავთვალოთ რამდენი ხაზი აქვს ხესა, რადგანაც ეს ხაზები თითო წლის ნაზარდია, შეგვიძლიან შევიტყოთ ამასთანვე ასაკი ხისა, ესე იგი რამდენი წლისა არის ხე. ავიღოთ ერთი დიდის ნახნავისტოლა ტყე და ვთქვათ, რომ ამ ტყეში არის სამასი ხე ერთ ჰასაკოვანი ესე იგი ყველა ასის წლისა, სულ დავყოთ შუაში და დავაწყოთ ურმებზედ. ვსთქვათ გამოვიდა ასი ურემი. რადგანაც ეს ტყე იყო ასი წლის ნაზარდი, მაშასადამე წელიწადში ერთი ურემი უმატნია, და თუ ამგვარი ტყიდამ წელიწადში ერთი ურმის მეტი რა გამოვეტანა თავის დღეში არ გამოილეოდა;

ეროვნული

ამიტო რომ რასაც გამოვიტანდით სწორეთ იმოტელა ყოველ წელიწადს მოემატებოდა. როგორც რომ კაცი თავის თანხიდამ სარგებლის მეტს არ ხარჯავდეს და თანხსა უკვდავათ დარჩეს, ისეც ტყე დარჩება გამოულეველი თუ იმის მეტს არ ვიხმარებთ რასაც წელიწადში მოიმატებს ზრდითა. ზრდა და მომატება ტყისა სხვა და სხვა იქნება. კარგ მიწა წყალში ტყე ბევრს მოიმატებს, ცუდში მცირეს. ეს არის მიზეზი, რომ ზომიერის ტყის ხმარებისათვის უნდა შევიტყოთ ყველა ალაგს რამდენს იმატებს წელიწადში ტყე და ისე დავნიშნოთ ზომა. აი როგორ მოიტყობა ეს ზომა. განჯის უეზდში არის ექვსასი ათასი დღის ტყე. თუ ყველგან ტყე ერთ ჯასაკოვანია და ერთგვარს მიწაზედ მოდის, მაშინ ერთი დღის ტყე რომ მოვსჭრათ და შევიტყოთ რამდენი ურემი ანუ საჟენი გამოსდის და რამდენ წელიწადშია გაზდილი მაშინ შევიტყობთ მთელი ტყის ანგარიშსა. ვსთქვათ, აქაც წელიწადში დღიურზედ ერთ ურემ შეშას მატულობს, ანუ მეასედსა, მაშა სადამე, შეგვიძლიან მთელი ტყიდამ გამოვიტანოთ წელიწადში ექვსასი ათასი ურემი შეშა, ანუ გავკაფოთ ექვსი ათასის დღის ტყე ასე რომ ტყე არ გამოილიოს. ამ გვარი ანგარიშებით ტყობულობენ, რეერთი შეშის ანუ სეტყის, ანუ ფიჩხის მოჭრა შეიმლება მავანის და მავანის ტყიდამ და სდებენ კანონს ზომიერი ტყის ხმარებისას. ჩვენი მაგალითი ლიტონია, რასაკვირველია. და მხოლოდ დაწვრილებაში არ შევედით იმისთვის, რომ ადვილი გასაგონი იყოს ყოველთათვის. ყველგან ტყე ერთ ჯასაკოვანი არარი, არც მიწა ერთგვარად ნაყოფიანი, მაშა სადამე წლის ზრდაც ზოგან მეტია, ზოგან ნაკლები; იმაშიაც გარჩევაა, რა ხმარებისათვის იჭრება ტყე: შენობისათვის, ნავებისათვის შეშისათვის და სხ. მაგრამ ყოველთვის შესაძლებელია ვიანგარიშოთ რაერთის მოჭრა შეგვიძლიან ასე რომ ტყე არ გამოგველიოს და უკვდავათ დაგვრჩეს.

ი. ს.

საშუალობა, რომლითაც ხეხილს მოაშორებენ ხავსსა და ობსა.

შემოდგომას ანუ ნესტიან ზამთრის შემდეგ ხეხილის ღეროებსა დაედება ხოლმე ბლომად ხავსი და ობი, რომელშიაც ადვილად იკეთებენ ბუდეს მავნებელი მწერნი; გაზაფხულზე ამ ბუდეებიდამ გამოდის მრავალი ჭია და პეპელები და ჰსჭამენ ხის ფოთოლსა და ყვავილსა, მაშა სადამე ახდენენ მოსავალსა. ეს უბედურება დასდევთ უფრო ბებერს ხესა, რომლის ქერქი არის ოკრო ბოკრო და ადგილ ადგილ დახეთქილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაცა ადვილად ჩადგება წყალი და აივსება ხავსითა. ამის მოსაშორებლად ხმარობენ შემდგომ საშუალობასა. ერთს ჩაფს წყალში ხსნიან სამ გირვანქა კირსა შიგა ჰყრიან ნახევარ გირვანქა დანაყილ გოგირდსა და ორ გირვანქა დანაყილ წენგოსა, ურევენ კარგათ და მერე წაასხებენ იმ ადგილსა სადაც ხესა აქვს ხავსი. მცირე დრობის განმლობაში ხავსი ხმება და ვარდება, იმის ადგილას ჩნდება ახალი ქერქი და ხე რჩება სენისაგან. ამ გვარი წამლის მოხმარებისათვის ყველაზე კარგი დრო არის გაზაფხული როცა ხის ზრდა მოდის მოძრაობაში.

წამალი პირუტყვის გაბერვისა.

ბოლონდელ კრებაში საეკონომიო საზოგადოებისა ფრანციაში, ინდრის დეპარტამენტისა, უ. დავიდმა შეატყობინა საზოგადოებას შემდგომი. ანბავი შარშან შემოდგომაზე ერთს იმისს ხარს შეუჭამა მწვანე ჯონჯა და ისე გაბერილიყო რომ მორჩენის იმედი აღარავის ჰქონდა. ჰქიმთან გაგზავნის დრო აღარ იყო რადგანაც ხარის სიცოცხლე წუთზედ ეკიდა. მაშინ დავიდს მოჰგონებოდა ერთი საშუალობა: აიღო კლისტირის (ჭოუნის) ლულა მიუცა უკან ტანში და გამოუწია ტარი თუმცა დიდის ტანჯვით. როცა ქარი მეცლიდამ მასულიყო ლულაში და აევსო, ხარს დიდი შვება მისცემოდა; ამ გვარად დავიდს შვიდი თუ რვა გზით გამეორებით სრულად დაეცალა ხარი ავის ქარებისაგან და ერთი საათის ჩარექის შემდეგ დაეხსნა ხარი მიუცილებელის სიკვდილისაგან. რასაკვირველია ეს საშუალობა ჯსჯობია ფერდის გახვრეტასა, რომელიც დიდი საშიშარია, თუ უცოდინარის ხელში ჩავარდება გასახვრეტი იარაღი.

მეტყობა მომავალის დარისა თუ ავდრისა.

დარის მეტყობისათვის მოგონებული არის საკუთარი იარაღი, რომელსაცა ჰქვიან ბარომეტრი. მაგრამ რადგანაც ამის ხმარებას ცოდნა უნდა და ისე იეფიც არ არის რომ ყველას შეეძლოს იმისი ქონა, ისევ სჯობია იმისთანა საშუალობა, რომელიც არის თვით ბუნებაშივე და არა თხოულობს არა ვითარსამე ხარჯსა. დათვალიერება პირუტყვის ცხოვრებისა და იმათი ხასიათის შესწავლა გვაძლევს ამ გვარ საშუალობასა, და თვით სოფლის ხალხმა იცის იმ გვარ ნიშნები რომ ხან და ხან მეიტყობს წვიმისა ანუ დარიანი დროს მოახლოებასა. ეს ნიშნები არის ქათმის დაბუდარება, ბაყაყების ყიყინი, ფრინველების ბუდის მიტანება და სხ. ყველაზე უკეთეს. დარის მეტყობი არის

ბებერას. ორი გვარი ბებერისა შესანიშნავი ამ საგნის შესახებად; ერთი რომელიცა ჰქსოვს თავის ბადეს კუთხეებში, მეორე მქსოველი მრგვლის ბადისა. პირველიც კარგი მეტყოფის ჰაერის ცვლილებისა, მაგრამ რადგანაც იმის დათვალიერება ძნელია საქმიან კაცისათვის ამისათვის მოვიყვანთ მხოლოდ მეორესა. თუ ბებერა ქსოვს მრგვალს ბადესა, რომლის შუაგულიდამ გამოჰყავს ერთი მაგარი ძაფი და აბამს ფანჯრის ანუ სხვა ადგილის კუთხეში, ამ კუთხეში ზის ბებერა, როცა ავდარია; დარიან დღეში გამოდის და ჯდება ბადის შუაში ბუზების დასაჭერათ. მეტად კარგათ მიუთითებს დარსა ეს ბებერა, თუ შენ ჰხედავ მოჭრილს ძაფსა ანუ წვიმიანი დარი ბებერა ერთი დღით წინ შეჰკრებს თავის კუთხეში; თუ კი უნდა დადგეს კარგი დარი, ბებერა ჰქსოვს ერთი დღით წინ, თუნდა წვიმდეს, გამოჰყავს შინჯავს და აწყობს ბადესა: თვალით ჩანს, რომ დიდის ბადეზე და აკეთებს აქა იქ ნაჭრეტებსა. ეს იმის ნიშანია რომ დარი დადგება, მაგრამ ცოტა ხნით. როცა ბებერა დახევს მთელ ბადესა და დაიწყებს ახლის ქსოვასა, მაშინ უნდა მოელოდეთ სასურველ დარსა. თუ დარი უნდა იდგეს ხუთიოდ დღეს, მაშინ ბადის ძაფებს შორიშორს აბამს; თუ ძაფებს ახლო ახლო აბამს ეს რვა ცხრა დღისდარის ნიშანის მხოლოთ შიმშილის გამოისობით ბებერა დაიწყებს ხოლმე ბადის დაკონკებასა, რომ ბუზები დაიჭიროს რაკი ცოტას გამოიმდარებს; მაინც ყოველთვის ბებერის სამზადისი კარგი დარის ნიშანია, ამიტომ რომ მხოლოდ დარით ფრინავენ ბუზები ვისაც ჰსურს ყურადღებით დათვალიერება ბებერისა, შეიტყობს მომავალს დარის ცვლილებასა იმისი შეხედვით, თუ როგორა ზის ბებერა ბუდეში თუ ბადის შუა. ამ გვარად თუ ბებერა ზის კუთხეში და წინა ფეხები ბადის მხრივ უწევია და მეცლი გარეთ, უნდა მოელოდეთ სასურველს ცივსა ანუ წვიმიანს დარსა; თუ და ზის უკუღმა და იგი ფეხები ბადეზე უწევია, ავდარმა მალე უნდა გადაიაროს. (*)

(*) როცა ავდრიან დღეში ბებერას გამოუყვია თავი და უწევია ფეხები იმ ქსელ ძაფზედ, რომელიც არის გამართული ბადის შუა გულიდამ კუთხემდინ, მაშინ უნდა მოელოდებოდეს კარგსა ანუ არეულს დარსა. სოფლის მემამულეს შეუძლიან ამ გვარად წინად შეიტყოს დარის მოსვლა და ის გამოიანგარიშოს დრო ხვნისა, თესვისა, მკისა, თიბვისა და სხ.

Дозволено цензурою. 1863. г. Мая 1. г. Тифлисъ.